საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

ბრძანება № 6/32

ქ.თბილისი

"23" დეკემბერი 2015 წ.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის აპარატის საფინანსო დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2010 წლის 22 მარტის №144/22 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ კომისიის აპარატის საშტატო ნუსხაში გათვალისწინებულია კომისიის აპარატის საფინანსო დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის ერთი ვაკანტური საშტატო ერთეული.

„საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე–11[1] მუხლის, 36[2] და 36[3] მუხლების, `საჯარო სამსახურის ბიუროს" უფროსის 2015 წლის 05 ნოემბრის N77/სა ბრძანების, "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის #412 დადგენილების, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის კომისიის თავმჯდომარის 2015 წლის 21 დეკემბრის N6/31 ბრძანების თანახმად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. გამოცხადდეს კონკურსი კომისიის აპარატის საფინანსო დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად.
2. კომისიის აპარატის საფინანსო დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის პოზიციისათვის განისაზღვროს შემდეგი ფუნქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ფუნქციები:

- კომისიის საბუღალტრო-საფინანსო აღრიცხვა; ოპერაციების სისწორის მონიტორინგი თანხების მოძრაობის კონტროლი, გადარიცხვების განხორციელება კომისიის რეგულაციების შესაბამისად;
- კომისიის ბიუჯეტის პროექტის შედგენის პროცესის წარმართვა;
- კომისიის ბიუჯეტის აღსრულების კოორდინაცია და ბიუჯეტის შესრულების თაობაზე წლიური და კვარტალური ანგარიშების მომზადებაზე კონტროლის გაწევა;

- რეგულირებას დაქვემდებარებული იურიდიული პირების მიერ რეგულირების საფასურის გადახდის აღრიცხვის მონიტორინგი და ყოველთვიური ანალიზი;
- კომისიის აპარატში დასაქმებულთა შრომის ანაზღაურების, პრემიებისა და სამივლინებო თანხების გაცემის და აღრიცხვის უზრუნველყოფა;
- კომისიის ბალანსზე არსებული ძირითადი საშუალებებისა და მცირეფასიანი ინვენტარის აფასებასთან, ჩამოწერასა და გადაცემასთან დაკავშირებული საკითხების ორგანიზებაში მონაწილეობის მიღება; ბუღალტრული და ფინანსური აღრიცხვა;
- სალიცენზიო/სანებართვო მოსაკრებელის, სალიცენზიო გადასახდელის, ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საფასურის, ასევე კომისიის გადაწყვეტილებით დაკისრებული ჯარიმების შესაბამის ანგარიშებზე გადახდის აღრიცხვის მონიტორინგი და ყოველთვიური ანალიზი;
- სახელმწიფო ბიუჯეტის შესაბამის ანგარიშებზე კანონმდებლობით დადგენილი გადასახადებისა და მოსაკრებლების გადახდის მონიტორინგი;
  შესაძლო საგადასახადო რისკების იდენტიფიცირება და დროული რეაგირება/აღმოფხვრა;
- საგადასახადო დეკლარაციებისა და სხვა ანგარიშგებების დროული შედგენა და შესაბამის უწყებებში წარდგენა;
- საქართველოს კანონმდებლობისა და კომისიის შიდა რეგულაციების შესაბამისად ყოველთვიური და ყოველკვარტალური ანგარიშგებების მომზადება;
- საფინანსო დეპარტამენტის უფროსის მიერ განსაზღვრული სხვა დავალებების შესრულება;

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

განათლება: უმაღლესი განათლება ფინანსებში ან ბუღალტერიაში ან ეკონომიკაში, ან სხვა მომიჯნავე სპეციალობაში. (სასურველია მაგისტრის, ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი);

სერტიფიკატი: სერტიფიცირებული პროფესიონალი ბუღალტერი (IFRS). სასურველია ACCA- ბუღალტერთა და აუდიტორთა პროფესიონალური მომზადების სერტიფიკატი.

სამუშაო გამოცდილება: სულ მცირე 7 წლიანი მუშაობის გამოცდილება ფინანსურ განყოფილებაში ან ბუღალტერიაში, მათ შორის მინიმუმ 3 წელი მთავარი ბუღალტრის პოზიციაზე.

ენების ცოდნა: სასურველია ინგლისურის ცოდნა;

კომპეტენცია და უნარები:

- ლოგიკური და ანალიტიკური აზროვნება;
- დაგეგმვა და ორგანიზება;

- ქართულ ენაზე წერილობითი და ვერბალური კომუნიკაციის უნარი;
- დამოუკიდებელი და გუნდური მუშაობის უნარი;
- შესრულებულ სამუშაოზე პროფესიული პასუხისმგებლობის აღების უნარი;
- სიზუსტე და დეტალებზე ორიენტირებულობა;
- შემჭიდროვებულ ვადებში მუშაობის უნარი და დროის ეფექტური მენეჯმენტი;

სამართლებრივი აქტების ცოდნა:

- საქართველოს საგადასახადო კოდექსი;
- საქართველოს კანონი ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის შესახებ;

კომპიუტერული პროგრამების ცოდნა:

- MS Office (Word, Excel);
- საბუღალტრო პროგრამების ცოდნა: 1C, ან ორისი, ან ინფო, ან FINA; (ან სხვა საბუღალტრო პროგრამების ცოდნა);

3. კომისიის აპარატის საფინანსო დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის პოზიციისათვის განისაზღვროს ხელფასი, 4995 ლარის ოდენობით (დარიცხული) თვეში.

4. საკონკურსო- საატესტაციო კომისიას დაევალოს:

ა) აღნიშნული კონკურსის ჩატარება;

ბ) კონკურსის ჩატარების პირობების, ეტაპების, შეფასების ფორმის და გრაფიკის შემუშავება და დამტკიცება;

5. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ.თბილისი, დ.აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6) ერთი თვის ვადაში;
7. კონტროლი აღწერილი ბრძანების შესრულებაზე განხორციელდება პირადად.

კომისიის თავმჯდომარე **ვახტანგ აბაშიძე**